პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 165 (10559) | ოთხშაბათი, 18 ივლისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის

დამთავრდა მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის პირველი ნახევარი. კომუნიზმის შენებელი ქვეყნის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები უმაგალითო აღმავლობით შეუდგნენ წლის მეორე ნახევრისათვის გათვალისწინებული საწარმოო ამოცანების შესრულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, რომელმაც ახლახან დაამთავრა მუშაობა, აღინიშნა წარმატებანი ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა, რომელმაც წელს განვლილ 6 თვეში 12 პროცენტით მეტი პროდუქცია მოგვცა, ვიდრე გასული წლის შესაბამის თვეებში. სამრეწველო წარმოების განუხრელი ზრდის შედეგად წლითიწლობით იზრდება ჩვენი რესურსები, წარმატებით ხორციელდება პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების პროგრამა. ამის მკაფიო დამადასტურებელი ფაქტია კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომელმაც მთელი ჩვენი ქვეყნის შრომელთა მხურვალე მოწონება და შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია.

წლის განვლილ თვეებში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში შეძენილია ძვირფასი ახალი გამოცდილება, გამოვლინებულია და ამოქმედდა მრავალი რეზერვი საწარმო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ნაწარმის როგორც ხარისხის, ისე ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის. მთავარი ახლა ის არის, რომ რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებმა მოფიქრებით და უნარიანად გამოიყენონ ეს გამოცდილება, გააძლიერონ ბრძოლა წარმოების იმ „ვიწრო ადგილების“ გამოსასწორებლად, რომლებიც მათს მუშაობას აფერხებენ.

ასეთი „ვიწრო ადგილები“ ჰქონდათ თავიანთ მუშაობაში და კვლავაც აქვთ რუსთავის მეტალურგებს. მაგალითად, მეტალურგიული ქარხნის დამხმარე საწარმოები, განსაკუთრებით სამსხმელო და სარემონტო-მექანიკური საამქროები ჯერ კიდევ აგვიანებენ მეფოლადეების, მებრძმედეებისა და მგლინავებისათვის ე. წ. საცვლელი მოწყობილობის მიწოდებას. ხშირად ბრკოლდება ბოყვების ჩამოსხმა, ციცხვებისა და სხვა მოწყობილობის შეკეთება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მეტი ლითონისათვის ბრძოლის ინტენსივობაზე. ისევ ხშირია მილსაგლინავი საამქროსათვის ნამზადსამსხვრევი წნეხების გაცდენა, მეფერხებები იყო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეში. ყოველივე ეს განვლილ თვეებში ხელს უშლიდა მეტალურგების შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველსაყოფად ყველა პირობის შექმნა საწარმოო გეგმების შესრულების მტკიცე საწინდარია. ამას ნათლად ადასტურებს მთელ რიგ საწარმოთა მუშაობის გამოცდილება. ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატის კოლექტივი წლის დასაწყისში გამართულად ვერ მუშაობდა, გეგმას ვერ ასრულებდა. კომბინატის ხელმძღვანელებმა მთელი კოლექტივის დახმარებით შეძლეს მუშაობის გარდაქმნა, ცელულოზის მისაღები ტექნოლოგიური ციკლის გამარტივება და გაუმჯობესება. დანადგართა მოცდენის საგრძნობლად შემცირება, შრომის მოწესრიგება წარმოების ზრდის შესაბამისად. ყოველივე ამის შედეგად ამაღლდა მუშათა შრომის ნაყოფიერება, ახლა კომბინატი წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, სისტემატურად გეგმის გადამეტებით იძლევა პროდუქციას.

ასევე წარმატებით გაართვეს თავი წლის პირველი ნახევრის გეგმების შესრულებას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და მომთუთიებელი ქარხნების, ტყიბულის ქვანახშირის გამაუხვებელი ფაბრიკის, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, მთელი რიგი სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

საამაყო მაჩვენებლებით გადავიდნენ წლის მეორე ნახევარში ჭიათურელი მაღაროელები და ტყიბულელი მეშახტეები. ჭიათურელებმა 4 დღით ადრე შეასრულეს ნახევარი წლის დავალება, ჩვენი მეტალურგებისათვის მრავალი ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი ამოიღეს და გაგზავნეს, ხოლო ტყიბულელმა მეშახტეებმა იმავე 6 თვეში დავალება 3 დღით ადრე შეასრულეს, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,6 პროცენტით გაადიდეს ქვანახშირის ამოღება.

ქვანახშირის ამოღებაში კვლავ ჩამორჩება ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი. გარდა მეორე და მესამე შახტებისა, ტრესტის დანარჩენი შახტების კოლექტივებმა თავი ვერ გაართვეს დაბრკოლებებს, ჩამალეს ქვანახშირის მოპოვების გეგმა. ამის მთავარი მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა, სამთო მექანიზმების არარაციონალური გამოყენება, დისციპლინის სისუსტე, საშახტო სატრანსპორტის გაუმართავი მუშაობა, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შეუფასებლობა. ტყვარჩელელ მეშახტეებს შეუძლიათ აღმოფხვრან ყველა აღნიშნული მიზეზი და ეს მათ უნდა გააკეთონ, წლის მეორე ნახევარში დაფარონ განვლილი თვეების დავალიანება და უზრუნველყონ ქვანახშირისა და მაღალხარისხოვანი საკოქსე კონცენტრატის მზარდი რაოდენობით გამოშვება.

წლის პირველი ნახევრის გაკვეთილები სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე საწარმოთა სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს იმაზეც მიუთითებენ, თუ რა ძნიშვნელობა აქვს მოქნილ ხელმძღვანელობას საწარმოო გეგმების შესრულებისა და ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, საწარმოებისადმი ოპერატიულ დახმარებას და კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დროულად განხორციელების უზრუნველყოფას.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხშენებელ ქარხანას, რომელიც წელს ისეთივე წარმატებით ვერ მუშაობს, როგორითაც წინა წლებში მუშაობდა, განვლილ ექვს თვეში უნდა აეწყო და გამოეშვა ასი ცალი ახალი მოდელის — „163“ სახარატო ჩარხი. საამისოდ ქარხანაში უნდა გაემართათ სპეციალური საჩარხო საწარმოო ნაკადები, განეხორციელებინათ ზოგიერთი საამქროს რეკონსტრუქცია, რისთვისაც საჭირო იყო მრავალი მილიონის დაბანდება. ქარხანას თანხები მისცეს, საწარმოო ნაკადების მოსაწყობად ახალი დანადგარები გამოუგზავნეს, მაგრამ ამასთან არ გაუწიეს სათანადო ხელმძღვანელობა, არ დააწესეს ქმედითი კონტროლი, თუ როგორ სრულდებოდა სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ეს დავალება და ახალი მოდელის ჩარხის ათვისება ჩაშლილი აღმოჩნდა.

საწარმოებისადმი მოუქნელი ხელმძღვანელობისა და ამის შედეგად ახალი ტექნიკის ათვისების გაჭიანურების მაგალითები გვაქვს ზოგი რესპუბლიკური სამინისტროს მხრივაც. ახლა საჭიროა როგორც სამინისტროებმა, ისე ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით გაამახვილონ თავიანთი ყურადღება იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რაც ახასიათებდა მათს მუშაობას განვლილ თვეებში. ყველა ღონისძიება, ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული საწარმოებში პროდუქციის გაზრდის გასადიდებლად, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისა და ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად, მასების შემოქმედებითი აზრის დასაზმავად წარმოების ყველა „ვიწრო ადგილის“ დაძლევისათვის. საჭიროა განსაკუთრებული ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლისათვის, მისდამი ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისათვის. ამ მხრივ ბევრი სამუშაო მოელით პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ქმედითად უნდა დაეხმარონ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები.

1956 წლის საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულება ყველა საწარმოო კოლექტივის ღირსებისა და სახელის საქმეა, საწინდარია მეექვსე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისა, პარტიის XX ყრილობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული დიადი ამოცანების სასახელოდ განაღდებისა.

ბარდაბნის და გურჯაანის რაიონებმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმები შეასრულეს

ბარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 12 ივლისს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

მტს-ების მიერ წარდგენილი ანგარიშების მიხედვით სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

გურჯაანის რაიონმა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა სიმინდის გამოკლებით 14 ივლისისათვის შეასრულა 104,5 პროცენტით.

მტს-ების მიერ წარდგენილი ანგარიშების მიხედვით სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

16 ივლისს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ვ. მ. მოლოტოვი და მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. მალენკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ულბრიხტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ვ. შტოფი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მრეწველობისა და ტრანსპორტის საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი ფ. ზელბმანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ნუშკე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჰ. ლოხი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი პ. შოლცი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბოლცი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. კიონიგი.

მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: სსრ კავშირის საჩალმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე [illegible] კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ა. ა. პოს[illegible] სსრ [illegible] საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. ფ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი.

მოლაპარაკების დასაწყისში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მადლობა უძღვნა სსრ კავშირის მთავრობას მოსკოვში მოწვევისათვის საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების მიზნით. მან გააკეთა საერთაშორისო ვითარების ზოგადი მიმოხილვა, გააშუქა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის საკითხი, აგრეთვე მშვიდობიან და დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის გაერთიანების საკითხი.

შემდეგ განცხადებანი გააკეთეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომლებმაც გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკებას მოჰყვება ორ სახელმწიფოს შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

განცხადებანი გააკეთეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ო. ნუშკემ, ჰ. ლოხმა, ფ. ზელბმანმა, პ. შოლცმა და ვ. ულბრიხტმა.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითადობის, მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა ფართო ურთიერთგაზიარება როგორც სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხებზე, ისე აგრეთვე ზოგიერთ საერთო საერთაშორისო საკითხზე, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს.

მოლაპარაკების მონაწილეებმა გადაწყვიტეს განაგრძონ აზრთა ურთიერთგაზიარება 1956 წლის 17 ივლისს. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

16 ივლისს მოსკოვში მოლაპარაკებისათვის ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი.

დელეგაციაში შედიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ულბრიხტი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ვ. შტოფი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და მრეწველობისა და ტრანსპორტის საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი ფ. ზელბმანი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ო. ნუშკე, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ჰ. ლოხი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი პ. შოლცი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბოლცი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. კიონიგი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

ცენტრალურ აეროდრომზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი და სხვა ოფიციალური პირები.

14 საათზე თვითმფრინავი დაეშვა აეროდრომზე. საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები გულთბილად მიესალმნენ ოტო გროტეოლს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. აეროდრომზე გაისმის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ოტო გროტეოლმა ნ. ა. ბულგანინთან ერთად ჩამოუარა საპატიო ყარაულს მწყობრს, მიესალმა აეროდრომზე შეკრებილ ოფიციალურ პირებს, ელჩებსა და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა მიკროფონთან. მან თქვა:

— ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო! სიამოვნებით მივიღეთ თქვენი მოწვევა, რათა აქ, მოსკოვში ჩვენი ყოფნის დროს, სამსახური გავუწიოთ ხალხების მეგობრობასა და კარგ ურთიერთგაგებას ჩვენს ერთობლივ მოლაპარაკებაში.

ნება მიბოძეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის სახელით გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მეგობრული და ძმური მოწვევისათვის.

მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი მოლაპარაკება სასარგებლო იქნება ჩვენი საერთო საქმისათვის.

ნება მიბოძეთ გადავცე საბჭოთა კავშირის ხალხებს და, უწინარეს ყოვლისა, დიდი და მძლავრი მოსკოვის მცხოვრებლებს გერმანიის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის და განსაკუთრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა გულითადი სალამი.

* * *

ცენტრალური აეროდრომიდან სტუმრები გაემგზავრნენ მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში. პირველ ავტომანქანაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ოტო გროტეოლთან ერთად არის ნ. ა. ბულგანინი, მეორეში — ვალტერ ულბრიხტი და ნ. ს. ხრუშჩოვი. მათ შემდეგ აეროდრომს ტოვებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებიც. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი

16 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, რომელიც მეთაურობს მოსკოვში ჩამოსულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი. (საკდესი).

დ. ტ. შეპილოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბოლცი

16 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ლოტარ ბოლცი, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კიონიგი. (საკდესი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

17 ივლისს დილით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლის მეთაურობით ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი და გვირგვინით შეამკო.

დელეგაციას ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი კ. ა. კოჩეტკოვი, მოსკოვის კრემლის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ვედენინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან ერთად იყვნენ სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მრჩევლები რ. როსმაისლი და ფ. ტუნი. (საკდესი).

საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ გადაეცა კოლუმბიელ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ბალდომირო სანინ კანოს

ბუენოს-აირესი, 16 ივლისი. (საკდესი). ამ დღეებში კოლუმბიის ქალაქ პოპაიანში საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ გადაეცა მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლს, ცნობილ კოლუმბიელ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ბალდომირო სანინ კანოს.

სანინ კანოსათვის პრემიის გადაცემას დაესწრნენ კოლუმბიის დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

გადასცა რა პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის სახელით, კოლუმბიელი პოეტი ლუის ვიდალესი გულთბილად მიესალმა ლაურეატს, დაახასიათა მისი თვალსაჩინო მოღვაწეობა მშვიდობისათვის, ხალხთა თანამშრომლობისათვის ბრძოლაში და უსურვა წარმატება შემდგომ ბრძოლაში მშვიდობის დასაცავად.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ბალდომირო სანინ კანომ.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკელი ინჟინერი გ. ვ. მორგანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა 11 ივლისს მიიღო მოსკოვში ტურისტად მყოფი ამერიკელი ინჟინერი გ. ვ. მორგანი, რომელიც მონაწილეობდა მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობაში და თავისი მუშაობისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და გ. ვ. მორგანს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. (საკდესი).

დეპეშა

მის აღმაჯეგულებას მარშალ ნ. ა. ბულგანინს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

კამბოჯის პარლამენტმა და ხალხმა უდიდესი კმაყოფილებით შეიტყეს, რომ სსრ კავშირის ხალხებმა და თქვენ კეთილინებეთ მისი სამეფო უმაღლესობის პრინც ნოროდომ სიანუკისათვის მოგეწყოთ უღრესად მხურვალე მიღება იმის გამო, რომ იგი ჩამოვიდა თქვენს მშვენიერ ქვეყანაში როგორც მისი უდიდებულესობის კამბოჯის მეფისა და ხალხის წარმომადგენელი, და დიდი პატივი ეცით მეფესა და ჩვენს ქვეყანას, როცა მას გადაეცით დიდსულოვანი და უანგარო საჩუქრები. თქვენი პირადი მეგობრობისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეგობრობის ამ მკაფიო დადასტურებამ დიდად გვასიამოვნა და იგი უსაზღვოდ ხელს შეუწყობს ჩვენი ორი ხალხის დაახლოებას და ჩვენს სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

როგორც კამბოჯის პარლამენტისა და მთელი ხალხის სახელით, ისე პირადად ჩემი სახელით მოგახსენებთ უდიდეს მადლობას, აგრეთვე გულწრფელად გისურვებთ პირად კეთილდღეობას და სსრ კავშირის ხალხების აყვავებას.

კეთილინებეთ, ბატონო თავმჯდომარეო, და ერწმუნეთ ჩემს დიდ პატივისცემას თქვენდამი.

ეკ ვი უნი,
კამბოჯის ეროვნული კრების თავმჯდომარე.

1956 წ. 14 ივლისი.

დეპეშა

ბატონ ა ვ ე რ ო ფ ს, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს

ათენი

ბატონო მინისტრო,

დიდი მწუხარებით შევიტყე, რომ თქვენს ქვეყანას თავს დაატყდა სტიქიური უბედურება ეგეოსის ზღვის კუნძულებზე მიწისძვრის შედეგად. ნება მიბოძეთ, ბატონო მინისტრო, გამოგიცხადოთ თქვენ და თქვენი მეშვეობით საბერძნეთის ხალხს საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა მომხდარი უბედურების გამო.

შეპილოვი,
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კრება

16 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მორიგი საერთო კრება.

კრებამ მოისმინა ცნობა დეპუტატ ი. ი. პალეცკისისა, რომელიც არის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენელი საპარლამენტთაშორისო კავშირის საბჭოში, საპარლამენტთაშორისო კავშირის საბჭოს 78-ე სესიის შედეგების შესახებ, რომელიც გაიმართა ა. წ. აპრილში ქალაქ დუბროვნიკში (იუგოსლავია).

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კრებამ დაამტკიცა დეპუტატ დ. ტ. შეპილოვის თხოვნა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნის გამო.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ო. ვ. კუუსინენი.

კ ა ნ ო ნ ი

„სავალდებულო საშენაწერო დაზღვევის შესახებ“ 1940 წლის 4 აპრილის კანონში ცვლილებათა შეტანის შესახებ

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება „ცხოველთა სავალდებულო საშენაწერო დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელთა შესახებ“ და ამის შესაბამისად კანონში „სავალდებულო საშენაწერო დაზღვევის შესახებ“ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ა) კანონის 15 მუხლის 3-8 პუნქტები სადაზღვევო გადასახდელთა განაკვეთების ნაწილში, რომლებიც მოყვანილია სვეტში „კოლმეურნეობებში“, დაიწეროს შემდეგნაირად:

„3. ცხენი და ჯორი — ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში — 4,80
4. აქლემი და სახედარი — ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში — 4,00
5. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში — 1,60
6. ცხვარი და თხა — ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში — 2,40
7. ღორი — ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში — 3,20
8. ირემი რუსეთის სფს რესპუბლიკაში და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 4,80“;

ბ) დაემატოს კანონის 15 მუხლს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა. კოლმეურნეობებში ჯიშიანი პირუტყვის დაზღვევის გადასახდელები გამოიანგარიშება შემდეგი განაკვეთების მიხედვით (მანეთობით სადაზღვევო უზრუნველყოფის 100 მანეთის მიხედვით): მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 1,20; ცხვარი და თხა — 1,80; ღორი — 2,40; ცხენი — 3,60; აქლემი და სახედარი — 3,00“;

გ) კანონის 31 მუხლი დაიწეროს შემდეგი რედაქციით:

„31. 30 მუხლში აღნიშნულ ფასდაკლებათა ოდენობა ცალკეული კოლმეურნეობებისათვის წესდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით მტს-ების დირექტორებისა და სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების წარდგინებათა და სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციების დასკვნების საფუძველზე“.

მუხლი 2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სავალდებულო საშენაწერო დაზღვევის შესახებ“ კანონის 29 და 32 მუხლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 22, 29-ბ, 77 და 78 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 23 იანვრის ბრძანებულება „ხაბაროვსკის მხარის შემადგენლობიდან კამჩატკის ოლქის რუსეთის სფსრ დამოუკიდებელ ოლქად გამოყოფის შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 22 მუხლს სიტყვა „კამენსკის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „კამჩატკის“.

მუხლი 2. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 18 თებერვლის ბრძანებულება „ყირგიზეთის სსრ ტალასის ოლქის გაუქმების შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 29-ბ მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვა „ტალასის“.

მუხლი 3. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1956 წლის 12 იანვრისა „სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის საერთო-საკავშირო სამინისტროს სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნისა და ყაზახეთის სსრ გეოლოგიისა და წიაღის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1956 წლის 12 იანვრისა „სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“;

1956 წლის 21 იანვრისა „სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა საერთო-საკავშირო სამინისტროსა და სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1956 წლის 9 აპრილისა „სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნისა და უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1956 წლის 31 მაისისა „სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს სსრ კავშირის პურის პროდუქტების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“;

1956 წლის 31 მაისისა „სამდინარო ფლოტის საერთო-საკავშირო სამინისტროს გაუქმების შესახებ“;

1956 წლის 31 მაისისა „სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილთა სამინისტროს გაუქმების შესახებ“;

1956 წლის 31 მაისისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1956 წლის 31 მაისისა „სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 და 78 მუხლები დაიწეროს შემდეგნაირად:

„მუხლი 77. საერთო-საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები: საავიაციო მრეწველობისა; საავტომობილო მრეწველობისა; საგარეო ვაჭრობისა; მანქანათმშენებლობისა; საზღვაო ფლოტისა; თავდაცვის მრეწველობისა; საერთო მანქანათმშენებლობისა; ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა; გზათა; რადიოტექნიკური მრეწველობისა; საშუალო მანქანათმშენებლობისა; ჩარხმშენებლობის და საინსტრუმენტო მრეწველობისა; სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობისა; ნავთობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა; ელექტროსადგურთა მშენებლობისა; გემთმშენებლობის მრეწველობისა; სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა; სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა; სატრანსპორტო მშენებლობისა; მძიმე მანქანათმშენებლობისა; ქიმიური მრეწველობისა; ელექტროსადგურებისა; ელექტროტექნიკური მრეწველობისა“.

„მუხლი 78. საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

ქაღალდის და ხისდამამუშავებელი მრეწველობისა; შინაგან საქმეთა; უმაღლესი განათლებისა; გეოლოგიისა და წიაღის დაცვისა; საქალაქო და სასოფლო მშენებლობისა; სახელმწიფო კონტროლისა; ჯანმრთელობის დაცვისა; საგარეო საქმეთა; კულტურისა; მსუბუქი მრეწველობისა; სატყეო მრეწველობისა; ნავთობის მრეწველობისა; თავდაცვისა; ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობისა; სასურსათო საქონლის მრეწველობისა; საშენ მასალათა მრეწველობისა; თევზის მრეწველობისა; კავშირგაბმულობისა; სოფლის მეურნეობისა; საბჭოთა მეურნეობებისა; მშენებლობისა; მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა; ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა; ვაჭრობისა; ქვანახშირის მრეწველობისა; ფინანსთა; პურის პროდუქტებისა; ფერადი მეტალურგიისა; შავი მეტალურგიისა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

„ყაზახეთის სსრ და უზბეკეთის სსრ შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 13 თებერვლის ბრძანებულება „ყაზახეთის სსრ და უზბეკეთის სსრ შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 121 მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირში ქალაქებსა და სოფელ ადგილებში საყოველთაო შვიდწლიანი განათლების განხორციელების გამო, აგრეთვე საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირის გაუქმების გამო შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 121 მუხლში და დაიწეროს ეს მუხლი შემდეგნაირად:

„მუხლი 121. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლებით, საშუალო განათლების ფართოდ განვითარებით, ყველა სახეობის როგორც საშუალო, ისე აგრეთვე უმაღლესი უფასო განათლების, უმაღლესი სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით; სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

„ყაზახეთის სსრ და რუსეთის სფსრ შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 20 აპრილის ბრძანებულება „ყაზახეთის სსრ და რუსეთის სფსრ შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

„მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 8 მარტის ბრძანებულება „მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

„ორსულობისა და მშობიაობის გამო შვებულების ხანგრძლივობის გადიდების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 26 მარტის ბრძანებულება „ორსულობისა და მშობიაობის გამო შვებულების ხანგრძლივობის გადიდების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებური წასვლისათვის და არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის სასამართლო პასუხისმგებლობის გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულება „საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებური წასვლისათვის და არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის სასამართლო პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

„16-18 წლის მოზარდებისათვის ექვსი საათის სამუშაო დღის დაწესების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 26 მაისის ბრძანებულება „16-18 წლის მოზარდებისათვის ექვსი საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. პ. პ. ლოგანოვის განთავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 9 აპრილის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. პავლე პავლეს-ძე **ლობანოვის** განთავისუფლების შესახებ ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტად მის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ვ. ვ. მაცკევიჩის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 9 აპრილის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ვლადიმერ ვლადიმერის-ძე **მაცკევიჩის** დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ამხ. დ. ტ. შეპილოვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს** დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1956 წლის 1 ივნისისა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვის** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1956 წლის 1 ივნისისა — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ამხ. დიმიტრი ტროფიმეს-ძე **შეპილოვის** დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის განთავისუფლებისა და კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ა. პ. ვოლკოვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს** დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1956 წლის 6 ივნისისა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩის** განთავისუფლების შესახებ;

1956 წლის 6 ივნისისა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ალექსანდრე პეტრეს-ძე **ვოლკოვის** დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1956 წლის 21 იანვრისა — სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა მინისტრად ამხ. მიხეილ ავქსენტის-ძე **ლესეჩკოს** დანიშვნის შესახებ;

1956 წლის 21 იანვრისა — სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის მინისტრად ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **სმელიაკოვის** დანიშვნის შესახებ;

1956 წლის 31 იანვრისა — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად ამხ. ნიკოლოზ პავლეს-ძე **დუდოროვის** დანიშვნის შესახებ;

1956 წლის 31 მაისისა — სსრ კავშირის პურის პროდუქტების მინისტრად ამხ. ლეონიდე რომანოზის-ძე **კორნიეცის** დანიშვნის შესახებ;

1956 წლის 31 მაისისა — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად ამხ. ნიკიტა სიმონის-ძე **რიაბოვის** დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

ეროვნებათა საბჭოს დადგენილება

ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან დეპუტატ დ. ტ. შეპილოვის განთავისუფლების შესახებ

ეროვნებათა საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს დეპუტატ დიმიტრი ტროფიმეს-ძე **შეპილოვის** თხოვნა ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

ეროვნებათა საბჭოს დადგენილება

ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

ეროვნებათა საბჭო **ადგენს:**

ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატი ნურიტდინ აკრამის-ძე **მუხიტდინოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კავშირის საბჭოს დადგენილება

კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან დეპუტატ ა. პ. ვოლკოვის განთავისუფლების შესახებ

კავშირის საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს დეპუტატ ალექსანდრე პეტრეს-ძე **ვოლკოვის** თხოვნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

კავშირის საბჭოს დადგენილება

კავშირის საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

კავშირის საბჭო **ადგენს:**

კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატი პავლე პავლეს-ძე **ლობანოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის განცხადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვის პასუხად

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ ამ სეზონზე მოვისმინეთ დეპუტატების ა. ნ. ესმეიანოვისა და ი. გ. ერენბურგის ლეგენდები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა — მშვიდობის მოსოფლიო საბჭოს წევრებმა — ვ. ლ. ვასილევსკაიამ, ა. ე. კორნეიჩუკმა, ა. ნ. ესმეიანოვმა, ნ. ვ. პოპოვამ, ა. ა. სურკოვმა, ნ. ს. ტიხონოვმა და ი. გ. ერენბურგმა, იზიარებენ რა მშვიდობის სოფლიო საბჭოს ბიუროს აზრს, რომელმაც მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს წინადადებით დადონ შეთანხმება ატომური იარაღის ყოვლგვარი გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, შემოიტანეს შეკითხვა — რა ღონისძიებათა ფიღებას აპირებს საბჭოთა მთავრობა ატომგულის იარაღის გამოცდის ყველან შეწყვეტისათვის.

ამასთან დაკავშირებით მე დამევალა ამოვაყალიბო საბჭოთა მთავრობის ოზიცია საკითხზე, რომელიც დეპუტატებმა აკრძეს.

ისეთი ავტორიტეტული და წარმომადგენლობითი ცენტრის მიმართვა, ოგორიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოა, განსაკუთრებული ყურადღების ირსია სამი სახელმწიფოს მთავრობათა მხრივ. ამ მიმართვამ ხელი უნდა ეწყოს დიდი ხნის მომწიფებული ბოლოსნის სწრაფად გადაწყვეტას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელმა სესიამ დიდი ყურადღება ოიაქცია განიარაღებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საითხს. ეს სავსებით ბუნებრივია და გამომდინარეობს ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის ძირეული თავებურებებიდან.

ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირის და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ღონისძიებათა შედეგად მიღებულია საერთაშორისო დაძაბულობის არკვეული შენელება. ამ პირობებში, ეშმარიტად, **გადამწყვეტი მნიშვნელობა** მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ენიჭება განიარაღებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის პრობლემის მოწესრიგებას. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ გზით წარმატებით წინსვლა უაღრესად კეთილმყოფელ გავლენას მოახდენდა მთელ საერთაშორისო ატმოსფეროზე და სადავო საკითხების გადაწყვეტაზე, რადგან ერთი საქმეა, როცა სადავო საკითხების გადაჭრის გზების ძებნა წარმოებს უდიდესი გამალებული შეიარაღების ფონზე, და სრულიად სხვა საქმეა, როცა იგი წარმოებს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების პროგრესული შემცირების ფონზე. მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა არ შეიძლება, თუ არ განხორციელდა შეიარაღების რადიკალური შემცირება, აგრეთვე თუ არ აიკრძალა ატომური და წყალბადის იარაღი.

ხალხთა ყველაზე ძლიერი სურვილია მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის შენარჩუნების სურვილი, პირობების უზრუნველყოფა წყნარი ცხოვრებისათვის, მშვიდობიანი შემოქმედებისათვის, ადამიანის გონების უდიდესი აღმოჩენის — ატომის ენერგიის ყველა მშრომელი ადამიანის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად გამოყენებისათვის.

კაცობრიობის გონებრივი თვალის წინ მუდამ დგას ერთა ლიგის სავალალო გამოცდილება. მისი მრავალი წლის საქმიანობა განიარაღების დარგში თავისი შედეგებით სრულ უმოქმედობას უდრიდა და საქმე ამოიწურებოდა დაუსრულებელი პაექრობით ორატორულ ოსტატობაში და უნიადაგო პროექტების შეთხზვით. ამისი შედეგები კარგად არის ცნობილი. განიარაღების საკითხში ერთა ლიგის მარცხი კაცობრიობას მეტად ძვირად დაუჯდა. ომმა გამოიწვია ადამიანთა აუარაცხელი მსხვერპლი, მას მოჰყვა კოლოსალურ მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა მოსპობა, იგი გახდა ადამიანთა უსაზღვრო გაჭირვებისა და ტანჯვის წყარო. და დანაშაული იქნებოდა იმის დაშვება, რომ ეს ტრაგიკული ისტორია გამეორდეს. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ატომგულის იარაღისა და რეაქტიული ტექნიკის არსებობისას ახალი ომი ხალხებს ნოუტანდა განუზომლად მეტ ნგრევას, ადამიანთა მსხვერპლსა და ტანჯვას.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მსოფლიოში მოქმედებენ ძალები, რომლებისთვისაც კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესები იმაზე მეტს არ ნიშნავს, რასაც ხურდა ფული სპეკულაციური ოპერაციების შესრულებისას. ამ ძალებმა გამალებული შეიარაღება გადააქციეს გიგანტურ ბიზნესად, ოქროს წყაროდ, რომელსაც საარაკო მოგება მოაქვს. ეს ძალები ყველაფერს სჩადიან იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ განიარაღების საქმეს; ისინი ხელოვნურად ზედიზედ ჰქმნიან ჩიხს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თანამედროვე პირობებში ეს ძალები შეიძლება აილაგმონ და კიდევაც აილაგმებიან და რომ გაინარჯვებს მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილური საქმე. **(ტასი).**

დღევანდელი დღის ყველაზე მტკიცე და ძლიერი მოთხოვნა, რომლითაც გამოიხატება ყველა ხალხის მისწრაფება და იმედი, არის მოთხოვნა, რომ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის დარგში, ბოლოს, მოხდეს სიტყვიდან საქმეზე გადასვლა. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საკითხი დგას ასე, ვინც **ნამდვილად** უწევს ანგარიშს კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებს, ვინც **ნამდვილად** სცემს პატივს დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ნებას, ვინც **ნამდვილად** ესწრაფვის მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას, მან სიტყვით კი არა, საქმით უნდა განახორციელოს განიარაღება.

ყველასათვის ცნობილია საბჭოთა კავშირის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ **პრაქტიკულად** უზრუნველყოფილ იქნას საყოველთაო განიარაღების განხორციელება და ატომური იარაღის აკრძალვა, აგრეთვე შეიქმნას განიარაღებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის სისტემა. სამწუხაროდ, იმ პოზიციის გამო, რომელიც დასავლეთის ზოგიერთმა სახელმწიფომ დაიკავა, დღემდე არ მოხერხდა ამ საკითხზე საერთო შეთანხმების მიღწევა. დასავლეთის სახელმწიფოები სხვადასხვა საბაბით უარს ამბობენ ასეთი შეთანხმების დადებაზე. ამ მიზნით ისინი ცდილობენ განიარაღების დარგში საჭირო ღონისძიებათა შემუშავება შეცვალონ წინადადებებთ აეროფოტოგადაღების შესახებ, რასაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს განიარაღებასთან, სამხედრო ინფორმაციის შეგროვების შესახებ, აყენებენ ყოველგვარ წინასწარ პირობებს, როგორიც არის მოთხოვნა, რომ განიარაღებას წინ უსწრებდეს გადაუჭრელი პოლიტიკური საკითხების მოწესრიგება, და ასე შემდეგ.

ამავე დროს ბევრს ცდილობენ დაამახინჯონ საბჭოთა კავშირის ნამდვილი პოზიცია. მაგალითად, უცხოეთის პრესაში შეხვდებით მტკიცებას, თითქოს ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირმა დაკარგა ინტერესი ატომური იარაღის აკრძალვის საკითხისადმი. ეს ყალბი და უაზრო მონაჭორია. საბჭოთა კავშირმა პირველმა ყველა სახელმწიფოთაგან დააყენა ატომური იარაღის უთუო აკრძალვის საკითხი. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ინიციატივით ჯერ კიდევ 10 წლის წინათ, 1946 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. საბჭოთა კავშირი არ შეანელებს თავის მეცადინეობას ან დარგში მანამდე, სანამ ადამიანთა მასობრივი მოსპობისა და ეკონომიკისა და კულტურის ცენტრების ნგრევის — ატომგულის იარაღი არ იქნება აკრძალული და მოსპობილი. **(ტასი).**

რამდენადაც დასავლეთის სახელმწიფოები უარს ამბობენ იმაზე, რომ ახლავე შეთანხმდნენ ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის შესახებ, საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, შეიტანა სხვა წინადადებაც. საბჭოთა მთავრობამ შეიტანა წინადადება **დაუყოვნებლივ** შეთანხმდნენ, რომ დიდი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი უშიშროების საბჭოს ნებართვის მიუღებლად. მაგრამ ეს წინადადებაც არ მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა მთავრობებმა.

მაშ რატომ გამოვიდა საბჭოთა კავშირი ამ ცოტა ხნის წინათ წინადადებით, რომ ჯერ მოხდეს შეთანხმება შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირების საკითხზე? იმიტომ, რომ იგი ცდილობს გამონახოს გამოსავალი ჩიხიდან, რომელიც შეიქმნა იმის შედეგად, რომ დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოს ჯიუტად არა სურს დათანხმდეს ატომური იარაღის აკრძალვაზე და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მის ამოღებაზე. მრავალი წლის მანძილზე ამას ასაბუთებდნენ იმით, რომ ატომური იარაღის აკრძალვა უპირატესობას შეუქმნიდა საბჭოთა კავშირს ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში. ხოლო როცა საბჭოთა კავშირმა, დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად, წინადადება შეიტანა ჯერ გამონახულიყო საერთო ნიადაგი ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირების საკითხში, განიარაღების მოწინააღმდეგეებმა დაიწყეს მტკიცება, თითქოს სსრ კავშირმა დაკარგა ინტერესი ატომური იარაღის აკრძალვის საკითხისადმი.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის იმისათვის, რომ განიარაღების პრობლემა დაიძრას ადგილიდან და დადგეს პრაქტიკულ რელსებზე. ამის უცილობელი დადასტურებაა არა მარტო საბჭოთა კავშირის წინადადებანი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირების შესახებ, აგრეთვე ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, არამედ ის ღონისძიებებიც, რომლებსაც სსრ კავშირი ცალმხრივი წესით ახორციელებს თავისი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის.

ამ მიზნისადმი მისწრაფებით განისაზღვრება აგრეთვე საბჭოთა კავშირის პოზიცია ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში.

ჯერ კიდევ გასული წლის მაისში შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე ღონისძიებათა ცნობილ პროგრამაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა, სსრ კავშირის მთავრობამ მოითხოვა, რომ სახელმწიფოებმა, რომლებსაც აქვთ ატომური და წყალბადის იარაღი, ვალდებულება იკისრონ შეწყვიტონ მასობრივი მოსპობის ამ სახეობათა იარაღის გამოცდა. მაგრამ ამ ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომ.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საბჭოთა მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა წინადადება თერმოატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, მიუხედავად განიარაღების სხვა საკითხებზე შეთანხმების მიღწევისა. მაგრამ ვერც ჩვენმა ამ წინადადებამ ჰპოვა დადებითი გამოხმაურება აღნიშნულ სახელმწიფოთა მხრივ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი შეიძლება გამოიყოს განიარაღების საერთო პროგრამიდან და გადაიჭრას დამოუკიდებლად ახლავე, ამ საკითხის გადაჭრის გადაუდებლად იმ დრომდე, სანამ მიღწეული იქნება საერთო შეთანხმება განიარაღების შესახებ. როგორც ცნობილია, ასეთსავე თვალსაზრისს ადგას ინდოეთის მთავრობა, რომლის წინადადებას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ამჟამად განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია. სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის წარმომადგენლებმა ამ კომისიაში გაილაშქრეს ინდოეთის მთავრობის წინადადების წინააღმდეგაც.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში 13 ივლისს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარს ვერ იტყვიან ატომგულის იარაღის განვითარებაზე, რომ ამ იარაღის გამოცდის განგრძობა თითქოს საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებისათვის, რომ შეერთებული შტატები განაგრძობენ ამ გამოცდას. რას იზამ, ამ განცხადების ღირსება ის მაინც არის, რომ ახლა სვამენ ცხადია, რომ შეერთებული შტატების მთავრობა თავს არიდებს მხარი დაუჭიროს წინადადებებს ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომლებითაც გამოდიან საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ყველა სოციალისტური სახელმწიფოს, ინდოეთის, იაპონიის მთავრობები, დასავლეთისა და აღმოსავლეთის უფართოესი საზოგადოებრივი ფენები.

სამწუხაროდ, ინგლისის მთავრობის პოზიცია ამ საკითხში არსებითად ცოტათი განსხვავდება ამერიკის პოზიციისაგან.

იგი წინადადებას იძლევა შევუდგეთ ჯერ გამოსაცდელ აფეთქებათა ეგრეთწოდებულ ნაწილობრივ შეზღუდვას, რათა ამ აფეთქებათა სრული შეწყვეტა განხორციელდეს განიარაღების მხოლოდ ერთ-ერთ ცალკეულ სტადიაზე. უფრო მეტიც, ინგლისის წარმომადგენელმა ამას წინათ განიარაღების კომისიაში განაცხადა, რომ ეს ნაწილობრივი შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განიარაღების შესახებ საერთო შეთანხმების ფარგლებში, რომლის მიღწევის ვადები ჯერჯერობით დაფარულია გაურკვეველი მომავლის ბურუსით.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში ინდოეთის წარმომადგენლის კ. მენონის მოსაზრებებს. გააკრიტიკა რა დასავლეთის სახელმწიფოთა ცდები შეცვალონ გამოსაცდელ აფეთქებათა აკრძალვის საკითხი ამ აფეთქებათა შეზღუდვის საკითხით, მენონმა აღნიშნა, რომ ატომგულის იარაღის გამოსაცდელ აფეთქებათა განგრძობა აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას.

რა თქმა უნდა, ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვა არ არის პანacea ყველა უბედურებისა და ბოროტებისაგან. მთავარი ამოცანა ის არის, რომ განხორციელდეს ატომური იარაღის სრული აკრძალვა, შეწყდეს მისი წარმოება, აიკრძალოს გამოყენება და ამოღებულ იქნას ეს იარაღი სახელმწიფოთა შეიარაღებიდან.

საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხში აბსოლუტურად ნათელია. ჩვენ მოვითხოვთ ატომური და წყალბადის იარაღის სრულ აკრძალვას — გამოსაცდელ აფეთქებათა აკრძალვას, ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების შეწყვეტას, მისი გამოყენების აკრძალვას, ამ იარაღის მარაგის მოსპობას და მის ამოღებას სახელმწიფოთა შეიარაღებიდან. **(ტასი).** ახლა საქმე მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებზეა.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ სახელმწიფოთა შორის შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეიძლება იყოს პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით, პირველი ნაბიჯი ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის გზაზე. იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას.

ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა თავისთავად არ მოითხოვს რაიმე რთულ საერთაშორისო შეთანხმებებს კონტროლის შესახებ, რადგან მეცნიერებისა და ტექნიკის მდგომარეობა ამჟამად საშუალებას იძლევა მაშინვე იქნას აღმოჩენილი ატომური თუ წყალბადის ბომბის ყოველი აფეთქება, სადაც უნდა მოხდეს იგი. ამ საკითხზე შეთანხმებისათვის საჭირო არ არის აგრეთვე ხანგრძლივი მრავალმხრივი მოლაპარაკება, რადგან ასეთი შეთანხმების მიღწევა ამჟამად დამოკიდებულია მხოლოდ სამი ქვეყნის მთავრობათა შეთანხმებაზე, რომლებსაც ახლა შეუძლიათ ამ იარაღის წარმოება, სახელდობრ: ამერიკის შეერთებულ შტატებზე, დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირზე.

უკვე ხანგრძლივი დროის მანძილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიასა და მის ქვეკომიტეტში მიმდინარეობს დაუსრულებელი დისკუსიები, განიხილავენ მრავალ წინადადებასა და კონტრწინადადებას. მაგრამ განიარაღების საქმე ერთი გოჯითაც არ დაძრულა ადგილიდან. ყველა პატიოსან ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, შეიძლება დაებადოს კანონიერი კითხვა, ხომ არ ცდილობს ვინმე გადააქციოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია განიარაღების საკითხებში ჩაურევლობის კომისიად. მშვიდობის ინტერესებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის დაცვის ინტერესებისათვის საჭიროა სიტყვიდან გადავიდეთ საქმეზე, კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საჭიროა სამ სახელმწიფოს — სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის დაუყოვნებლივ დაიდოს შეთანხმება ატომური და თერმოატომგულის იარაღის ყოველგვარი გამოცდისა და ექსპერიმენტული აფეთქების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

ასეთი შეთანხმება მთელი კაცობრიობის ინტერესებისა და იმედების შესაბამისი იქნებოდა. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა გავამართლოთ ეს იმედები.

ხალხებს ესაჭიროებათ, რომ ატომური იარაღის გამოსაცდელი აფეთქებანი დაუყოვნებლივ შეწყდეს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მხრივ კეთილი ნების გამოჩენისას ძნელი არ იქნება გამოინახოს მისაღები ფორმა შესაბამისი შეთანხმებისათვის. ჩვენი აზრით ეს შეიძლება მიღწეულ იქნას ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, ან ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ინგლისის მთავრობათა სამმხრივი შეთანხმებით, რომელსაც შემდეგ შეუერთდებიან სხვა სახელმწიფოები, ანდა თვითეული აღნიშნული მთავრობის ოფიციალური განცხადებით იმის შესახებ, რომ ისინი კისრულობენ ვალდებულებას შეწყვიტონ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. ყოველი ეს ხერხი მისაღებია საბჭოთა მთავრობისათვის და იგი მზად არის დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან ამ საკითხზე.

გამოვთქვამ რწმენას, რომ საბჭოთა მთავრობის ამ პოზიციას, რომელიც სავსებით შეესაბამება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, მოიწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა აღამიანები მხურვალედ მიესალმებიან კანონს სახელმწიფო პენსიების შესახებ

მადლობა კომუნისტურ პარტიას

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა ახალი კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ. ყველაზე მეტად გაახარა ამ კანონმა ფაბრიკაში მომუშავე ის ადამიანები, რომლებსაც ასაკის მიხედვით შეუძლიათ გადავიდნენ სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე. ფაბრიკის 70-მდე ასეთ მუშას შორის არის ბრონისლავა ეგორაშვილი, რომელიც უკვე 21 წელია აბრეშუმმქსოველთა კოლექტივშია.

— კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, — განაცხადა მან, — მართლაც სასიხარულო და საამაყოა ყოველი საბჭოთა მშრომელისათვის. იგი თვითეულ ჩვენგანს განუმტკიცებს ხვალინდელი დღისადმი რწმენას. მადლობელი ვართ კომუნისტური პარტიისა, რომელიც დაუღალავად ზრუნავს მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ფაბრიკის დაარსების დღიდან მუშაობს აქ სარემონტო სახელოსნოს ხარატი ალექსი უფლიაშვილი. იგი 64 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება.

— მე ვერ გავძლებ უსაქმოდ, — ამბობს იგი, — სანამ ძალა მერჩის, სამუშაოს თავს ვერ გავანებებ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პენსიაზე გადავალ, 600-700 მანეთს მაინც მივიღებ, რაც საკმარისი იქნება მოხუცებულობაში უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის.

კანონმა სახელმწიფო პენსიების შესახებ შემდგომში მუშაობის ხალისი შემატა თბილისელ აბრეშუმმქსოველებს. ისინი გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ დავალებები, გამოუშვან მეტი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი.

ხალხისათვის ზრუნვის გამოხატულება

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი ყურადღებით ეცნობიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალებს და ახალ კანონს სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომელიც მშრომელთა საერთო მოწონებას იმსახურებს.

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის ორჯონიკიძის რაიონში (ვაკე) დაიწყო ახალი სასკოლო შენობის აგება. უკვე ამოყვანილია მესამე სართულის კედლები. მშენებელთა კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს სასწავლო წლის დაწყებისათვის მთლიანად დაამთავროს მშენებლობა. ამ საპატიო ამოცანის განხორციელებაში თავისი წვლილი შეაქვს ხურო ა. გრიგორიევს. იგი 65 წლისაა და უკვე 46 წელია, რაც შრომითს საქმიანობას ეწევა.

— კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, — რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი სესიამ ამ დღეებში მიიღო, — ამბობს იგი, — სიხარულით აღავსებს ყოველი მშრომელის გულს. მე ჯერ არ ვაპირებ პენსიაზე გასვლას, მაგრამ თუ თავს დავანებებ მუშაობას, მივიღებ დაახლოებით ოთხჯერ მეტ პენსიას, ვიდრე ამ კანონის გამოსვლამდე მივიღებდი. ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მოხუცებულობაში თავი უზრუნველყოფილად ჩავთვალო.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის პასუხად რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე და დაწესებულებებში ახალი ძალით გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების პირნათლად შესრულებისათვის.

მაჯერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის

სამტრედია. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობას. ისინი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აღფრთოვანებითა და მოწონებით შეხვდნენ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებულ კანონს სახელმწიფო პენსიების შესახებ. ეს კანონი მშრომელებს მიაჩნიათ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ახალ გამოხატულებად.

სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონის გამოქვეყნებისას სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მუშა-მოსამსახურეებთან საუბარში დეპოს უფროსმა ამხ. მ. ჭანჭალეიშვილმა თქვა:

— ჩვენ ამ ინფორმაციას ველოდებოდით. ეს ინფორმაცია ერთსულოვნად მოიწონა ახალი კანონი. ყველაზე მეტად გაახარა ამ კანონმა ფაბრიკაში მომუშავე ის ადამიანები, რომლებსაც ასაკის მიხედვით შეუძლიათ გადავიდნენ სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე. ფაბრიკის 70-მდე ასეთ მუშას შორის არის ბრონისლავა ეგორაშვილი, რომელიც უკვე 21 წელია აბრეშუმმქსოველთა კოლექტივშია.

— კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, — განაცხადა მან, — მართლაც სასიხარულო და საამაყოა ყოველი საბჭოთა მშრომელისათვის. იგი თვითეულ ჩვენგანს განუმტკიცებს ხვალინდელი დღისადმი რწმენას. მადლობელი ვართ კომუნისტური პარტიისა, რომელიც დაუღალავად ზრუნავს მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ფაბრიკის დაარსების დღიდან მუშაობს აქ სარემონტო სახელოსნოს ხარატი ალექსი უფლიაშვილი. იგი 64 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება.

— მე ვერ გავძლებ უსაქმოდ, — ამბობს იგი, — სანამ ძალა მერჩის, სამუშაოს თავს ვერ გავანებებ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პენსიაზე გადავალ, 600-700 მანეთს მაინც მივიღებ, რაც საკმარისი იქნება მოხუცებულობაში უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის.

კანონმა სახელმწიფო პენსიების შესახებ შემდგომში მუშაობის ხალისი შემატა თბილისელ აბრეშუმმქსოველებს. ისინი გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ დავალებები, გამოუშვან მეტი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები გაემგზავრნენ ყაზახეთში მოსავლის ასაღებად

საბჭოთა პატრიოტების თავდადებული შრომის შედეგად წელს ყამირ მიწებზე მარცვლეულის უხვი მოსავალია.

დაიწყო მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტი პერიოდი. საჭიროა უდანაკარგოდ და სწრაფად ავიღოთ ხორბლეული.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საკავშირო ალკაც ცენტრალურმა კომიტეტმა, ხოლო შემდეგ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირელებს, ყველა ახალგაზრდას მოუწოდეს დაეხმარონ ჩვენს მეგობარ მეყამირეებს სწრაფად და მთლიანად აიღონ პური — ჩვენი სიმდიდრე, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის წყარო!

ამ მოწოდებათა გამოქვეყნებისთანავე მოსავლის ასაღებად წასვლის სურვილი გამოთქვა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, ქუთაისის, რუსთავის, ტყვარჩელის, ტყიბულის, ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საწარმო- დაწესებულებათა, მტს-ებისა და უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობამ.

...16 ივლისს ნავთლუღის რკინიგზის სადგურში მრავალმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი. აქ მოვიდნენ სიცოცხლით აღსავსე პატრიოტები: ხარატები, მშენებლები, ტრაქტორისტები, სტუდენტები, სხვადასხვა პროფესიის ბაბუკები და ქალიშვილები, რომლებსაც მოუთმენლად მიელიან ყამირი მიწების ახალმოსახლენი, უხვმოსავლიანი ყანები.

თბილისის ლენინის რაიონის ახალგაზრდობის წარგზავნილმა, კომკავშირელმა რ. ლაგრაძემ გამგზავრების წინ განაცხადა:

—საბჭოთა ახალგაზრდობას არაერთხელ გამოუჩენია თავი პარტიისა და მთავრობის დავალებათა პირნათლად შესრულებით. მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და აყვავების გეგმაა. ჩვენ, ქართველი ახალგაზრდები, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებთ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ ყამირ მიწებზე უხვი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებით ახალ წვლილს შევიტანთ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ველოსიპედი ტრაქტორისტი კომკავშირელი გ. ღვინიაშვილი გურჯაანის რაიონში ცნობილია, როგორც ენერგიული, საქმისადმი თავდადებული მუშაკი. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა სურვილი გაემგზავროს მოსავლის ასაღებად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

— გულს მიხარებს იმის შეგნება, — ამბობს გ. ღვინიაშვილი, — რომ საშუალება მეძლევა საქმით ვუპასუხო ლენინური კომკავშირის მოწოდებას — წავიდე ყაზახეთში და დავეხმარო ჩვენს სახელოვან მეყამირეებს პურის უხვი მოსავლის აღებაში.

წარგზავნილთა შორის არიან ბათუმის სავაგონო დეპოს ზეინკალი კომკავშირელი ი. ცისკელაშვილი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კომკავშირელი ხარატი ა. აგრიკოვი, ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მქსოველი შ. მესხი, წითელწყაროელი ავტომძღოლი გ. ოზამიანი და სხვები.

გამგზავრებამდე წუთებია დარჩენილი. სადგურის ბაქანზე კი არ ცხრება ახალგაზრდობის სიმღერა, ცეკვა-თამაში. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა პატრიოტების გასაცილებლად მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსავლის ასაღებად მიმავალთა ნათესავები და მეგობრები.

დადგა გამგზავრების დროც. ეშელონი დაიძრა და ახალგაზრდა პატრიოტები ყამირი მიწებისაკენ გაემგზავრნენ. თბილისელებმა გულთბილად გააცილეს საქართველოს ახალგაზრდობის წარგზავნილები და უსურვეს მათ ახალი წარმატებანი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში.

„ჩვენ სიხარულით მივესალმებით საბჭოთა კავშირის ახალ ინიციატივას“

ბუდაპეშტი, 15 ივლისი. (საკდესი). უნგრეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მთელი ევროპის თანამშრომლობის შესახებ.

გაზეთი „საბად ნეპი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა შეიქმნას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ფართო ორგანიზაცია. რამდენიც უნდა ილაპარაკონ დასავლეთ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეებმა ევროატომის მშვიდობიან მიზნებზე, წერს გაზეთი, ამ ორგანიზაციის შექმნა საფრთხეში აგდებს მშვიდობას ევროპაში. სრულიად ევროპის ორგანიზაცია, რომლის შექმნას მოითხოვს საბჭოთა კავშირი, ხელს შეუწყობდა ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, ხოლო ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობა შექმნილი ახალ. უფრო ხელსაყრელ პირობებს სადავო საკითხების გადასაჭრელად. მშვიდობისმოყვარე ხალხები, მათ შორის ჩვენი ხალხიც, ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულ „საბად ნეპი“, ყოველმხრივ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

გაზეთი „მადიარ ნემზეტი“, იცავს რა კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკას, აღნიშნავს, რომ უნგრეთის საზოგადოებრივი აზრი სიხარულით მიესალმება ყოველ ნაბიჯს ამ მიმართულებით და მზად არის მონაწილეობა მიიღოს წამოწყებებში, რომლებიც ევროპის ხალხთა თანამშრომლობის საქმეს ემსახურებიან. ჩვენ, აცხადებს გაზეთი, მიესალმებით საბჭოთა კავშირის ახალ ინიციატივას, რომლის მიზანია ევროპის საყოველთაო თანამშრომლობის მიღწევა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში.

ადვილი გასაგებია, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „მადიარ ნემზეტი“, რომ ატომის საკითხში, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ჩვენი ეპოქის გადამწყვეტი საკითხი, ფართო თანამშრომლობა მტკიცე მშვიდობის საწინდარია, მაშინ როდესაც ამ დარგში სხვადასხვა დაჯგუფების შექმნამ შეიძლება მხოლოდ გააძლიეროს უნდობლობა და დაძაბულობა.

ჩინეთის პრესა აქვეყნებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას

პეკინი, 15 ივლისი. (საკდესი). ჩინეთის გაზეთები „ჟენმინჟიბაო“, „გუანმინჟიბაო“ და სხვები დღეს თვალსაჩინო ადგილს აქვეყნებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში სრულიად ევროპის თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე ევროპიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში საბჭოთა წარმომადგენლის გრომიკოს განცხადებას. ეს მასალები გადასცა აგრეთვე პეკინის რადიომ.

საკავშირო პროფსაბჭოს საჩუქარი ინდოეთის პროფკავშირთა ეროვნული კონგრესისათვის

დელი, 15 ივლისი. (საკდესი). პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ ინდოეთის პროფკავშირთა ეროვნულ კონგრესს საჩუქრად გიუგზავნა კინოაპარატურა და კინოფილმების კრებული, მათ შორის დოკუმენტალური ფილმები საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს მოგზაურობისა და ინდოეთში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შესახებ.

გუშინ დელში მოხდა საბჭოთა პროფკავშირების ამ საჩუქრის გადაცემა. როგორც გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ აღნიშნავს, ინდოეთის პროფკავშირთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარემ ვასავადამ საჩუქრების მიღებისას თქვა, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საჩუქარს, რამდენადაც იგი მეგობრობის სულისკვეთების გამოხატულებაა

გადაწყვეტილება ავსტრიის სოციალისტური მუშათა პარტიის კომპარტიასთან გაერთიანების შესახებ

ვენა, 16 ივლისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ავსტრიის სოციალისტური მუშათა პარტიის (მემარცხენე სოციალისტები) საგანგებო ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამ პარტიის ავსტრიის კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების შესახებ.

სოციალისტური მუშათა პარტიის თავმჯდომარემ ერვინ შარფმა გააკეთა განცხადება ამ გადაწყვეტილების გამო. მან აღნიშნა, რომ შეიქმნა ახალი ვითარება ავსტრიის მემარცხენე სოციალისტური მოძრაობის განვითარებისათვის.

ავსტრიის სახალხო პარტიის პრეტენზია, რომ ხელთ აიღოს ძალაუფლება, თქვა მან, მოითხოვს მუშათა კლასის დარაზმვას მშრომელთა საერთო ინტერესების დასაცავად. შარფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ახალი პერსპექტივები დასახა მუშათა პარტიების თანამშრომლობისათვის. „საერთაშორისო მასშტაბით, — განაცხადა შარფმა, — მუშათა პარტიების თანამშრომლობის ინიციატივა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან მომდინარეობს; ავსტრიაში ინიციატივა ავსტრიის კომუნისტური პარტიიდან უნდა მომდინარეობდეს“.

ავსტრიის კომუნისტური პარტია, განაგრძო შარფმა, ახალ ეროვნულ გზას ეძებს სოციალიზმისაკენ, და ამიტომ მემარცხენე სოციალისტებს თავიანთ მოვალეობად და თავიანთ ვალად მიაჩნიათ დაამყარონ თანამშრომლობა კომუნისტებთან. ახლა პოლიტიკური ურთიერთობის მხრივ არაფერი არ არის ისეთი, რომელიც ჰყოფდეს კომუნისტებსა და მემარცხენე სოციალისტებს.

ინდონეზიის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები

ჯაკარტა, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს ჯაკარტაში გამოქვეყნდა ინდონეზიის დამფუძნებელი კრების არჩევნების ოფიციალური შედეგები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობებით, ინდონეზიის ეროვნულმა პარტიამ მიიღო 9.070.218 ხმა და დამფუძნებელ კრებაში აქვს 119 ადგილი; პარტია მაშუმმა — 7.789.619 ხმა (112 ადგილი); ნახდატულ ულამამ — 6.989.333 ხმა (91 ადგილი); კომუნისტურმა პარტიამ — 6.232.512 ხმა (80 ადგილი); ინდონეზიის მუსლიმანთა კავშირმა და პარკინდომ მოაგროვეს დაახლოებით 1 მილიონი ხმა თვითეულმა და მიიღეს თვითეულმა 16 ადგილი. დანარჩენმა პარტიებმა მიიღეს 1 მილიონზე ნაკლები ხმა და აქვთ 1-10 ადგილი დამფუძნებელ კრებაში.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბრიუსელი, 16 ივლისი. (საკდესი). გუშინ ბრიუსელში გაიმართა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. ბიურნელის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან ბელგიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საუბრის შესახებ.

მოსკოვის დრამატული თეატრის გასტროლები

მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები ჯეკ ლონდონის პიესა „ქურდობით“ დაიწყო. არჩევანი მოსაწონია. „აქტიური განწყობილების მწერალი“, როგორც სამართლიანად უწოდა ჯეკ ლონდონს მაქსიმ გორკიმ, მეტად საინტერესო დრამატურგიც აღმოჩნდა.

მოქმედება ვაშინგტონში წარმოებს 1910 წელს. ასე გვამცნობს ავტორის რემარკა. პიესა კი თანადროულია, დღევანდელი ამერიკის მილიარდერების, საფინანსო მაგნატების სამყაროს ასახავს. იქ გუნდრუკს უკმევენ დოლარს, დოლარზე ჰყიდიან ნამუსსა და პატიოსნებას, სიმდიდრის მოსახვეჭად ორ პირტყავს აძრობენ მშრომელებს. ასე იყო ოკეანესგაღმა მხარეში ამ ორმოცი წლის წინათ, ასეა დღესაც.

პიესის ჩონჩხი მარტივია. კონგრესის წევრი ჰოვარდ ნოქსი, რომელიც უბრალო, რიგითი ადამიანების დამცველია, აპირებს დღის სინათლეზე გამოიყვანოს და ნიღაბი ჩამოხსნას საფინანსო მაგნატს ანტონი სტარკუეტერს და მის ხროვას. ჰოვარდ ნოქსს სათანადო დამამტკიცებელი საბუთები აქვს. ანტონი სტარკუეტერის ჯგუფი გადაწყვეტს ხელთ იგდოს მამხილებელი მასალები და ამით ნოქსის გამოსვლა გაიქარწყლოს. მილიარდერების ხელქვეითნი ნოქსს მამხილებელ დოკუმენტებს მოჰპარავენ. კონგრესის წევრს ჰოვარდ ნოქსს ამით იარაღი აჰყარეს. კაპიტალისტების ზეიმი დიდხანს არ გაგრძელდა, ციხე შიგნიდან გატყდა. ანტონი სტარკუეტერის ქალი მარგარეტი თანაუგრძნობს ამერიკის მდაბიო ფენებს და სურს შეუმსუბუქოს მათ მძიმე ტვირთი. ამავე დროს მას უყვარს ჰოვარდ ნოქსი. ქალი არავითარ დაბრკოლებას არ შეუშინდა, მილიარდერებისა და დოლარის სპეკულანტების ყალბი მორალი უარყო, მოპარა მამას საბუთები და მის პატრონს ნოქსს დაუბრუნა.

აი ამ სიუჟეტზე ჯეკ ლონდონმა დრამატიზმით აღსავსე პიესა შექმნა.

მძაფრი კონფლიქტი დამაჯერებლად ვითარდება და მაყურებლის განწყობილებას ქმნის. სიტუაციები ზოგჯერ ისეთი მძაფრია და მოქმედება ისე ვითარდება, რომ არის წუთები, როცა ეჭვი გეპარებათ, — ნუთუ ეს შესაძლებელია? — მაგრამ ასეთი აზრი წუთით გაგირბენთ თავში და მყისვე გატაცებით ადევნებთ თვალყურს სიუჟეტის განვითარებას. მაგალითად, ჰოვარდ ნოქსი და მარგარეტი ერთმანეთს სიყვარულს უხსნიან. ამ მომენტს მარგარეტის მეუღლე სენატორი და მილიარდერი ტომას ჩალმერსი შეესწრება. ოქროს პარკის, სენატორის სახელი შებღალულია. მოტყუებული ქმარი ერთ წუთს თითქოს წონასწორობას კარგავს. მაგრამ წუთის შემდეგ იგი „საქმიან“ ლაპარაკს იწყებს თავის მეტოქესთან, ყოველგვარ დათმობაზე მიდის, ოღონდ მისი დოლარები ხელუხლებელი იყოს. ითვალისწინებთ რა საფინანსო მაგნატების, სპეკულანტების ფსიქოლოგიას, მათს „მორალურ“ ავლადიდებას, ერწმუნებით პიესის ავტორს, რომ დოლარის მომხვეჭლები ფულის გულისათვის ოჯახის სიწმინდესაც ბღალავენ.

თეატრის რეჟისურის წინაშე საპატიო და მძიმე ამოცანა იდგა — მეტისმეტად მძაფრად დაწერილი პიესა, რომელიც მდიდარია გარეგნული ეფექტური სცენებით, უბრალო წარმტაც სანახაობად არ გადაქცეულიყო და მას თავისი შემეცნებითი მნიშვნელობა არ დაეკარგა.

თეატრის რეჟისურამ — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. ზავადსკიმ და რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. შმიტკინმა — ეს ამოცანა დადებითად გადაჭრეს. რეჟისურა არ გამოსდევნებია გარეგნულ ეფექტებს და პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს გამოვლენებით სპექტაკლს შემეცნებითი მნიშვნელობა მისცა. ყოველი მიზანსცენა ლამაზი და გამართლებულია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სპექტაკლის გაფორმება. მოქმედება პავილიონებში ხდება. მხატვარი თითქოს შეზღუდულია იმ მხრივ, რომ თავისი ოსტატობა გამოავლინოს — პეიზაჟები, ხედები, ქუჩები და სხვა არ არის პიესაში. მიუხედავად ასეთი ვიწრო ჩარჩოსი, მხატვარმა ა. პ. ვასილევმა დაგვანახვა, რომ იგი დეკორაციული ხელოვნების ნამდვილი ოსტატია. ფერთა შეხამება, მთელი გარემოს სტილი ისეთი სისწორით არის შესრულებული მხატვრის მიერ, რომ აშკარად იგრძნობა დოლარების თაყვანისმცემელთა სამყარო.

არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა როლი შესრულების მხრივ ერთ სიმაღლეზეა. არის დიდი მიღწევები ამა თუ იმ პერსონაჟის წარმოსახვისას, არის შედარებით ნაკლები წარმატებანი. მაგრამ მთავარია ის, რომ სცენიდან სიმართლე გაისმის. მსახიობები მოქმედ პირთა გარდასახვას ახდენენ და ნაკლებ „თამაშობენ“. ეს კი გამარჯვების პირველი საწინდარია.

მიუხედავად დუღაბივით შეკრული მტკიცე ანსამბლისა, უნდა შევჩერდეთ ზოგიერთი პერსონაჟის განსახიერებაზე.

უწინარეს ყოვლისა შევეხოთ კონგრესის წევრის, დაბალი ფენების დამცველის ჰოვარდ ნოქსის განმასახიერებელს — მსახიობ ტ. ვ. დობროტვორსკის. მისი ნოქსი გულწრფელი, უბრალო და დამაჯერებელია. მსახიობის ღირსებაა, რომ ის სცენაზე ნაკლებად „თამაშობს“, მასში არ იგრძნობა თეატრალობა ამ სიტყვის არაპირდაპირი გაგებით, როლი თავისთავად ეფექტურია, აქტიორების ტერმინით რომ ვთქვათ, მომგებიანი. აქ ადვილი შესაძლებელია მსახიობი გაიტაცოს ამ ეფექტური ადგილების გადმოცემამ და პათოსს მიმართოს. მსახიობი ამ ცთუნების გზას არ გაჰყვა და ამიტომაც მისი ნოქსი დამაჯერებელი და ბუნებრივია.

მილიარდერი სენატორის ტომას ჩალმერსის საინტერესო სახე შექმნა რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ნ. სიდორკინმა. მისი მოძრაობა, ყოველი ჟესტი, ინტონაცია გაგრძნობინებთ, რომ თქვენს წინ დგას ადამიანი, რომლისთვისაც წმინდა არაფერი არსებობს ამ ქვეყნად. მისი მრწამსია — დოლარი, დოლარი და დოლარი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. პ. მარეცკაიას სჯელი ცნობილია ყველასთვის კინოფილმებიდან. ამიტომ ყველა დიდი ინტერესით მოელოდა ენახა ეს ოსტატი სცენაზე და უშუალოდ განეცადა მისი ნიჭის შემოქმედებითი ძალა.

ვ. პ. მარეცკაიას მარგარეტ ჩალმერსი თავისი მხატვრული სრულყოფით ხიბლავს მაყურებელს. რა ოსტატურად ქარგავს მსახიობი თავის როლს და გვიხატავს ფინანსთა წრიდან გამოსულ ქალს, რომელიც თავის ბედს უკავშირებს უბრალო ხალხს.

მსახიობი ნათლად გვაგრძნობინებს, რომ მას ამოქმედებს სიყვარულის დიადი გრძნობა, მაგრამ ეს მარტო პირადული კი არ არის, არამედ მიმართულია უბრალო ადამიანებისადმი.

ანტონი სტარკუეტერის მეტად საინტერესო და კოლორიტული სახე შექმნა რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ნ. როზენ-სანინმა. რა მხატვრული სისადავით ქარგავს მსახიობი თავის როლს და გვიჩვენებს კაპიტალისტის მგლურ ბუნებას. თავისი მიზნის მისაღწევად დოლარების ეს მეფე არაფრის წინაშე არ იხევს და მზად არის საყვარელი ქალიშვილის პრესტიჟიც კი გაქელოს, ოღონდ თავისი მტაცებლური გეგმები განხორციელდეს. ის ქურდია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. პარავს ყველას, ვინც კი ხელში ჩაუვარდება.

მსახიობ როზენ-სანინის მიერ შექმნილი სახე პირდაპირ დაუვიწყარია.

სტარკუეტერის მდივნის ფელიქს დობლმენის ეპიზოდურ როლში დასამახსოვრებელი სახე შექმნა მსახიობმა ბ. ვ. ივანოვმა.

ეპისკოპალური ეკლესიის მღვდლის როლში კოლორიტულია მსახიობი ა. ნ. ხანდამიროვი.

მაყურებლებით გაჭედილმა დარბაზმა სპექტაკლის დასასრულს ერთსულოვანი მხურვალე ოვაციები გაუმართა ძვირფას მოსკოველ სტუმრებს.

ა. ბურთიკაშვილი.

ახალი ოპერის ლიბრეტოს განხილვა

ამ დღეებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სამხატვრო საბჭოს სხდომაზე პოეტმა ოსეს ნონეშვილმა წაიკითხა ლიბრეტო ახალი ოპერისა „ჩრდილოეთის რძალი“ ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის შესახებ. მათი სიყვარულის სიუჟეტურ ქარგაზე დახატულია მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების თბილისი, ნაჩვენებია რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობის ეპიზოდები, საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტებისა და მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის დაახლოება. მოქმედება წარმოებს თბილისში, წინანდალში, პეტერბურგსა და სპარსეთში, სადაც დიპლომატიურ სამსახურში ყოფნის დროს ვერაგულად მოკლეა დიდი რუსი მწერალი ა. გრიბოედოვი.

სიტყვებით გამოსულმა სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ჰ. ამირანაშვილმა და დ. ანდღულაძემ, თეატრის დირექტორმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა მ. კვალიაშვილმა, კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა, მწერლებმა დ. გაჩეჩილაძემ და ვ. პატარაიამ მაღალი შეფასება მისცეს ახალი ოპერის ლიბრეტოს. მათ აღნიშნეს, რომ ი. ნონეშვილის ლიბრეტო „ჩრდილოეთის რძალი“ საინტერესოა როგორც თემატურად, ისე მხატვრული ოსტატობის მხრივ. ლიბრეტო დაწერილია მუსიკალური ლექსით.

„ჩრდილოეთის რძალის“ მუსიკას წერს კომპოზიტორი დ. თორაძე. დადგმისათვის მიწვეულია მოსკოვის პუშკინის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. თუმანიშვილი. ახალი ოპერა მზადდება 1957 წელს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის.

სპორტის ამბები

★

ელისო კაკაბაძის ჩასვლა

ქალაქში „კომუნისტის“ კორ.-ის ცნობით, ჩამოვიდა ელისო კაკაბაძე. ქალაქში ჩამოსულ ელისო კაკაბაძეს ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება. ტურნირში მონაწილეობენ სსრ კავშირის 1954 წლის ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი ვოლპერტი (ლენინგრადი), ოსტატი ვოიეიკი (მოსკოვი), უკრაინის ჩემპიონი ვიტკოვსკაია (კიევი), საქართველოს 1955 წლის ჩემპიონი კაკაბაძე და სხვ.

გათამაშდა ნახევარფინალური შეჯიბრების ხუთი ტური. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ელისო კაკაბაძემ მოიპოვა გამარჯვება ესტერკინასთან, მიხაილოვასთან, ბერგენთან, კაუშიგიტესა და ვიტკოვსკაიასთან შეხვედრებში. ამრიგად, მან 5 შესაძლებლიდან მოაგროვა 5 ქულა.

ნახევარფინალური შეჯიბრება კალუგაში 29 ივლისამდე გაგრძელდება.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მოსკოვი. 17 ივლისი. აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა“ და სტალინის „შახტიორის“ გუნდები. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 5:1.

ჭაბუკთა ასპარეზობა

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). ახალგაზრდობის ფეხბურთელთა სკოლების საკავშირო ასპარეზობაში, რომელიც აქ რამდენიმე დღეა მიმდინარეობს, მონაწილეობას იღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ტაშკენტისა და თბილისის ახალგაზრდობის ფეხბურთელთა სკოლების გუნდები.

პირველ ტურში ლენინგრადის ფეხბურთელთა სკოლისა და „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური სკოლის შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2:2. კიევის გუნდმა დაამარცხა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი ანგარიშით 3:1. თბილისისა და მინსკის ფეხბურთელთა მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 2:1.

მეორე ტურში კიევისა და ლენინგრადის ფეხბურთელთა სკოლების გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს კიეველებმა ანგარიშით 5:1. ლენინგრადის „შრომითი რეზერვებმა“ დაამარცხეს მინსკელი ფეხბურთელები ანგარიშით 2:0. თბილისელმა სპორტსმენებმა დაამარცხეს ტაშკენტელები ანგარიშით 3:2.

აზერბაიჯანისა და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრები

15 და 16 ივლისს კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე გაიმართა აზერბაიჯანისა და საქართველოს ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრები კალათბურთში.

საქართველოს კალათბურთელთა ორივე გუნდმა მოიგო შეხვედრები აზერბაიჯანელ სპორტსმენებთან, ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 96:32, 85:56; ქალთა გუნდმა — 81:37 და 62:41.

ი. ყ. ფაღავა—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა სნეულების კათედრის დოცენტმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ყ. ფაღავამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ცენტრალური ნერვული სისტემის ცვლილებები ბავშვთა დისტროფიული მდგომარეობის დროს“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ი. ყ. ფაღავასათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი სანიტარული ინსტიტუტი აცხადებს 1956-57 სასწავლო წლისათვის ასპირანტურასა და ორდინატურაში მისაღებ კონკურსს ჰიგიენის სპეციალობაზე.

ასპირანტი — 1, ორდინატორი — 3.

ასპირანტურასა და ორდინატურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები: ასპირანტურაში არაუმეტეს 40 წლის, ხოლო ორდინატურაში არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომელებსაც აქვთ სანიტარულ დარგში მუშაობის სულ მცირე სამი წლის სტაჟი.

ასპირანტურასა და ორდინატურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია (საკუთარი ხელით დაწერილი), სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების დიპლომის პირი, ნოტარიალურად შემოწმებული, საქმიანი და პარტიული დახასიათებანი, რაიჯკომის შუამდგომლობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, მეტრიკული ამონაწერი, ფოტოსურათი, მეცნიერული შრომები (მათი სია) და მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ საკითხში.

ასპირანტურაში მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 სექტემბრიდან შემდეგ დისციპლინებში: 1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, 2. სპეციალურ დისციპლინაში (ზოგადი ჰიგიენა), 3. რუსულ ენაში და 4. ერთ-ერთ უცხო ენაში.

ასპირანტურაში და ორდინატურაში განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე.

საბუთები მიიღება სამეცნიერო-საკვლევი სანიტარული ინსტიტუტის დირექციაში (ნატო ვაჩნაძის ქ. № 9) ტელეფ. № 3-07-49 და 3-61-02.

თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1956-57 სასწავლო წლისათვის რუსულ და ქართულ სექტორებზე.

I კურსზე მიიღებიან მოქალაქენი, რომელსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა. ისინი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: მათემატიკაში (ზეპირი), რუსულ ენაში (წერა, ზეპირი) და ქართულ ენაში (ზეპირი) ქართულ სექტორზე.

III კურსზე მიიღებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები. ისინი აბარებენ გამოცდებს: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა—თხზულება), მათემატიკაში (წერა და ზეპირი) და ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი) ქართულ სექტორზე. ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ, მიუხედავად იმისა, თუ რომელ წელს აქვთ სკოლა დამთავრებული.

განცხადებები და საბუთები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოს-ტოპოგრაფებს. მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან შეძლების მიხედვით საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესით.

მისამართი. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 27, ტელ. № 3-20-88.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

საზაფხულო თეატრი

(ბლეხანოვის პროსპ. № 123)

18 ივლისს

საესტრადო კონცერტი

2 განყოფილებად

სექსტეტის თანხლებით

პროგრამა მიჰყავთ ვ. კინწურაშვილს და ბ. გეგეჭკორს.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება.

ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალური სასწავლებელი

აცხადებს 1956-57 სასწავლო წლისათვის მიღებას: 1. საფორტეპიანო, 2. ვოკალურ, 3. საგუნდო-სადირიჟორო და 4. სიმორკესტრო სპეციალობაზე.

განცხადებები მიიღება ა. წ. 1 აგვისტომდე სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირადღისა დილის 10-დან დღის 2 საათამდე.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში — პლეხანოვის პროსპ. № 166.

მსუბუქი მრეწველობის საკავშირო დაუსწრებელი ტექნიკუმის თბილისის ფილიალი აცხადებს მიღებას 1956-57 სასწავლო წლისათვის პირველსა და მესამე კურსზე.

ტექნიკოსთა მომზადება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: 1. ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგია, 2. ფეხსაცმლის ფაბრიკების მექანიკური მოწყობილობა, 3. სამკერვალო წარმოების ტექნოლოგია, 4. ტყავის წარმოების ტექნოლოგია, 5. სამკერვალო წარმოების მექანიკური მოწყობილობა, 6. სატრიკოტაჟო წარმოების ტექნოლოგია, 7. შალის ქსოვის ტექნოლოგია, 8. შალის დართვის ტექნოლოგია, 9. აბრეშუმის ქსოვის ტექნოლოგია, 10. ბამბის დართვის ტექნოლოგია, 11. აბრეშუმის ამოღებისა და გრეხვის ტექნოლოგია, 12. ქსოვილის გამოყვანის ტექნოლოგია, 13. საგეგმო (საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის დარგების).

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი წლოვანების მიუხედავად.

პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები და უფროსი კლასებიდან გამოსულები, ხოლო მესამე კურსზე — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

პირველ კურსზე შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (ზეპირი), რუსულ ენაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

მესამე კურსზე შემსვლელები: ქართულ ენაში (ზეპირი), რუსულ ენაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

განცხადებებს მიიღებ იწარმოებს პირველ აგვისტომდე. გამოცდები დაიწყება პირველ აგვისტოს. ტექნიკუმში კონკურსგარეშე მიიღებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი.

შემსვლელებმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება, ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, სამი ფოტოსურათი, ცნობა სამუშაო ადგილიდან, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ტექნიკუმი საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისათვის ამზადებს ტექნიკოსებს, რომლებსაც ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლება. ტექნიკუმის მოსწავლეებს წლის განმავლობაში ეძლევათ 30-დღიანი შვებულება ხელფასის შენარჩუნებით გადასაყვანი გამოცდების ჩასაბარებლად.

მისამართი: ქ. თბილისი, ბრძოლის ქ. № 124, ტელეფონი № 3-80-09.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის (მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის გასტროლები) — კატრინ ლუფვერი, ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — საესტრადო მუსიკალური მიმოხილვა სექსტეტის თანხლებით (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ისანი (საზამთრო), ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, სპარტაკი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ჩემი ქალიშვილი ვენაში ცხოვრობს, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბალი, თბილისი — იატაგები ზღვაში, კომკავშირელი — სასცენო სარბიელზე, კოლხიდა (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — გადამწყვეტი წუთები, დიდუბე (საზამთრო), მილიციის სამმართველოს საზაფხულო კლუბი — პოლიციელები და ქურდები, კოლხიდა (საზაფხულო) — ჩრდილი და სინათლე.

საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოსა და თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან აგროსეტეორის უფროსის

კირიონ კონსტანტინეს-ძე კალანდარიშვილის

გარდაცვალებას.

ძმა გრიგოლ, მეუღლე ლიზა ფარნიევები, გურამ და შალვასია ბეგოიძეები ოჯახებით იუწყებიან

ალექსანდრე ივანეს-ძე ფარნიევის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-VII, 8 ს. გამოსვენება 19-VII, 6 ს. ბინიდან, ცხაკაიას ქ. № 9.

მეუღლე შურა, შვილები ნინელ, ნაზიკო, ძმა სერგო ოჯახით, სიძე ო. კიკნაძე იუწყებიან

ნიკოლოზ ილარიონის-ძე საბაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-VII, 8 ს. გამოსვენება 19-VII, 6 ს. ბინიდან, რაფიელ ერისთავის ქ. № 14.

მეუღლე ელენე, დები ეკატერინე, ანასტასია, ტატიანა, ძმები ვასო, ალექსანდრე არონიშიძეები იუწყებიან

ალექსანდრე სპირიდონის-ძე სხირტლაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII ქ. მახარაძეში, ჩანჩიბაძის 2.

შვილები ნინო, გურგენ, რძალი ნათელა, სიძე შ. ავსაჯანიშვილი და შვილიშვილები იუწყებიან

დარიკო ივანეს ასულ ლებანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-